

**ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების საშუალოვადიანი გენდერული
თანასწორობის სტრატეგია**

**თავი I. ვანის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიის მიზნები,
პრინციპები და სამართლებრივი საფუძვლები.**

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია (შემდგომში-სტრატეგია) განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და განვითარების პრიორიტეტებს 2022-2024 წლების საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომ ხელისუფლებას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ამიტომაც, ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფილი განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვითმმართველობის პროცესში ქალთა და მამაკაცთა ინტერესების თანაბრად ასახვასა და გათვალისწინებას.

სტრატეგიის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან რეალიზებას.

სტრატეგია ეფუძნება გენდერული თანასწორობის პრინციპებს მუნიციპალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, აგრეთვე გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

სტრატეგია ეფუძნება ერთიან, კომპლექსურ მიდგომას, რომლის თანახმად, თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი ინტერესების შესწავლას, თანაბრად წარმოჩენასა და გათვალისწინებას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა. ვანის მუნიციპალიტეტის სამსახურების საქმიანობის პროცესში უზრუნველყოფენ გენდერული ასპექტების გათვალისწინებას, გენდერული თანასწორობის დაცვას და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობისთვის საჭირო გარემოს შექმნას.

სტრატეგია მიმართულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული გენდერული

თანასწორობის პრინციპების განხორციელებისაკენ.

სტრატეგია წარმოადგენს ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის სფეროში სამოქმედო გეგმის და მისგან გამომდინარე პროგრამული ღონისძიებების შემუშავების საფუძველს.

სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების საფუძველს ქმნის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 3 აგვისტოს მიღებული N25 დადგენილება “ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ რომლის შესაბამისადაც შეიქმნა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, ასევე განისაზღვრა ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები.

მუხლი 1.

სტრატეგია განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების გენდერულ პოლიტიკას და გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად პრიორიტეტულ მიმართულებებს.

სტრატეგია ითვალისწინებს, ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქალის და კაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალური მიმართულებით.

დოკუმენტის შემუშავების დროს, შეფასდა 2020-2021 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა, მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე შეფასდა მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული მდგომარეობა და გამოიკვეთა, ის მიმართულებები, რომლის წინაშეც დგას მუნიციპალიტეტი გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით:

1. ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, მუნიციპალურ პროგრამების და პროექტების დაგეგმვის დროს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

3. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

4. გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა.

თავი II

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები

მუხლი 2. ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

მიმართულების პრიორიტეტებია:

ა) გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა – მოიცავს:

- ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის შეფასებისა და საჭიროებების კვლევის შედეგების საფუძველზე, 2023-2024 წლების გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და საკრებულოს მიერ დამტკიცებას. საბჭოს წევრებისა და გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისათვის სპეციალური ტრენინგების ორგანიზებასა და ჩატარებას;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მექანიზმების დამკვიდრება-მოიცავს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის სტიმულირებას.
- სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზა მოიცავს ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გენდერულ ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად წინადადებების შემუშავებას. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარებას გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

- ახალი 2022 წლის მუნიციპალიტეტის გეგმის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

- გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების განსაზღვრას.

- შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას, დამტკიცებასა და განხორციელებას.

ბ) ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება – მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასებას.

- შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ – სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

- „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ – სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგისათვის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფას;

- საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის გადახედვასა და განახლებას;

- მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის სამართლებრივ ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, საჭიროებების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფას.

გ) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის უზრუნველყოფა – მოიცავს:

- ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამართლებრივი აქტების პროექტების გენდერული თვალსაზრისით გაანალიზებას და საჭიროების შემთხვევაში წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

- სამოქმედო გეგმისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას.

დ) გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება - მოიცავს:

- საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას, შემდეგ თემებზე - ქალთა უფლებები, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ადრეული ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მოხუცებულთა, ბავშვთა უფლებები და სხვა.

- სპეციალური სწავლების ციკლის ორგანიზებას, რომელიც უპირატესად მიმართული

იქნება ვანის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გენდერული მგრძობელობის ამაღლებაზე; გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად სპეცილური ბუკლეტების გამოშვებაზე, პრესისა და მასმედიის სხვა საშუალებების გამოყენებით დისკუსიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზებას.

ე) მუნიციპალიტეტში გენდერული სტატისტიკის დანერგვა – მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, განახლების, სისტემატიზაციის, დამუშავების, შენახვისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცებას;
- გენდერული სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას.
- ვანის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ყველა სფეროში გენდერული მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების დახვეწას და გენდერულ ჭრილში სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას.

ვ) გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მეწარმე სუბიექტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის გაძლიერება – მოიცავს:

- სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების, განსაკუთრებით ქალთა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნას.
- სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრების ჩატარებას, მათ შორის გენდერული თანასწორობის პრობლემურ საკითხებზე და მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების დადგენის მიზნით.
- გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციების ჩართვას სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, მუნიციპალურ პროგრამების და პროექტების დაგეგმვის დროს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

ამ მიმართულების პრიორიტეტებია:

ა) გენდერული ბიუჯეტი – მოიცავს:

- გენდერული ჯგუფების მოთხოვნათა გათვალისწინებით გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირებას.
- მუნიციპალიტეტის ბოლო ერთი წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის ჩატარებას.

- ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას;
- მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტების განსაზღვრას გენდერული ასპექტის გათვალისწინებით.
- ჩატარებული კვლევის შედეგად, მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძობიარე პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცებას.

ბ) გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობი პროგრამების და ღონისძიებების შემუშავება - მოიცავს:

- ქალებისა და მამაკაცებისათვის საწარმოო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ბიზნესსაქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის საჭიროებების გამოვლენას, შესაბამისი პროგრამების (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) შემუშავებასა და განხორციელებას; დასაქმების ბაზარზე ქალთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად შესაბამისი პირობების შექმნას და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებთან მათი ადაპტაციის ხელშეწყობას;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების საჭიროებათა კვლევას გენდერულ ჭრილში და პრიორიტეტული პროფესიების გამოვლენას;
- ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად, საგანმანათლებლო და პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის პროგრამების შემუშავებას.
- მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფას საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ.

გ) გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შესაბამისი საბიუჯეტო უზრუნველყოფა – მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით შესაბამისი ხარჯების ასახვას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

დ) კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალურ პროგრამებში მოქალაქეთა გენდერულად დაბალანსებული ჩართულობის, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერულად ორიენტირებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის პოლიტიკის უზრუნველყოფა - მოიცავს:

- კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევას და შესაბამის რეკომენდაციების მომზადებას გენდერულ ჭრილში.
- მუნიციპალიტეტისადმი დაქვემდებარებულ სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდის

დაწესებულებებში საჭიროებების შესწავლის მიზნით, არსებული მდგომარეობის ანალიზის ჩატარებას გენდერულ ჭრილში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

- მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლას;
- ახალგაზრდების საჭიროებების დადგენის მიზნით, ახალგაზრდებთან შეხვედრების ჩატარებას;
- სპორტულ ცხოვრებაში გოგონათა და ქალთა ჩართულობის პოპულარიზაციას;

მუხლი 4. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

ამ მიმართულების პრიორიტეტია:

ა) მუნიციპალიტეტში არსებულ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ პროგრამებში მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინება – მოიცავს:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული, მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების, შშმ პირების, სოციალურად დაუცველი მარტოხელა და მარტო მცხოვრები მოხუცების და სხვა მოწყვლადი მოსახლეობის სქესის და ასაკის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებას.
- კვლევის შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახალი პრიორიტეტული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამებით მოსარგებლეთა კვლევას გენდერულ ჭრილში;
- სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების აღრიცხვას და მათი ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას.
- მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე საერთაშორისო დაცვის მქონე, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანთა და მათი ოჯახების აღრიცხვას და მიზნობრივი სერვისების მიწოდებას.

მუხლი 5. გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა

ამ მიმართულების პრიორიტეტია:

ა) მოსახლეობის ინფორმირებულობა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ რეფერალურ მექანიზმებზე - მოიცავს:

- მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში და ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფას.
- ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით შეხვედრების ორგანიზებას.
- გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.
- ქალთა უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თემის პოპულარიზაციის მხარდასაჭერად სხვადასხვა კამპანიების ორგანიზებას.
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებულად კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას.
- სოციალური მედიასა და საინფორმაციო პორტალებზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის და გენდერულ საკითხების გაშუქებას.

ბ) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებები - მოიცავს:

- ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშესაწყობის, ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნების, ასევე ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას.
- ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციისათვის ჩონისძიებების ჩატარებას.
- ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/ სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამის შემუშავებას.

თავი III

სტრატეგიის მონიტორინგი მუხლი 6.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას, თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველწლიურად განიხილავს ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის დადებითად შეფასების, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის, ან/და რეკომენდაციების გაცემის შესახებ.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციასა და შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც საბჭოს სხდომაზე პერიოდულად განიხილავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს შესაბამის

